სს დასტა რექორდს მენეჯმენტი
გ. ლორთქიფანიძის ქ. #15
0123 თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ა. წერეთლის გამზ. # 144
თბილისი, საქართველო 0119

ბატონ დავით სერგეენკოს

არქივისა და დოკუმენტებს მართვის მომსახურება ჯანდაცვის სექტორისთვის

15 თებერვალი 2017

ბატონო დავით,

წინამდებარე წერილის მიზანია მოკლედ გაგაცნოთ ჩვენი კომპანია, "დასტა რექორდს მენეჯმენტი" და მოვიპოვოთ თქვენი მხარდაჭერა მინისტრის 198-ე მარეგულირებელ ბრძანებასთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს საავადმყოფოს ჩანაწერების მართვას.

"დასტა" არის საქართველოს პირველი პროფესიონალური საბუთების მართვისა და არქივის აუთსორსინგის კომპანია. ჩვენ პარტნიორებს ვთავაზობთ საბუთების ფიზიკურ შენახვას, მათ კონფიდენციალურ განადგურებას, ციფრულ ფორმატში გადაყვანასა და ელექტრონული საბუთების მართვის გადაწყვეტილებებს. უცხოური ინვესტიციით 2014 წელს დაარსების შემდეგ, "დასტა" დღესდღეობით თავის საცავში ინახავს 50,000-ზე მეტ საარქივე ყუთს 20-ზე მეტი კლიენტისთვის. ჩვენი ძირითადი კლიენტები არიან თი-ბი-სი ბანკი, საქართველოს ბანკი, GWP, McDonalds და მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციები.

გასული წლების განმავლობაში ჩვენ შევხვდით რამოდენიმე საავადმყოფოს მენეჯმენტს, ვისაც აინტერესებდათ ჩვენი სერვისებით სარგებლობა. ჩვენი სხვა კლიენტების მსგავსად ამ საავადმყოფოებს არ გააჩნდათ საკმარისი და შესაბამისი სტანდარტებით მოწყობილი სივრცე სადაც შეინახავენ საბუთებს. ხშირად მათ ასევე არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, რომ პროფესიონალურად დაახარისხონ, შეინახონ და საჭიროების შემთხვევაში დროულად მოიძიონ საბუთები. როგორც ჩვენთვის ცნობილია ყოფილი პაციენტის საბუთის მოძებნას შეიძლება დღეები დასჭირდეს.

ჩვენ გვჯერა, რომ „დასტას" შეუძლია დაეხმაროს საავადმყოფოებსა და კლინიკებს არქივთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრაში, იმისათვის რომ მათ მეტი დრო დარჩეთ თავიანთი ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად. თუმცა, მათთან ჩვენი საუბრების დროს ჩანს, რომ ზემოხსენებული ბრძანება ზღუდავს საავადმყოფოებს და კლინიკებს ისარგებლონ "დასტა"-ს სერვისებით. მაგალითად, 7.13 მუხლის მიხედვით:

"საქმიდან დოკუმენტების ამოღება და საარქივო მასალების სამედიცინო დაწესებულებიდან გატანა, დროებითი სარგებლობისთვისაც კი, აკრძალულია." (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – 2002 წლის 5 ივნისით დათარიღებული N198/ნ ბრძანება).

ჩვენთვის გასაგებია, რომ პაციენტის ისტორიის კონფიდენციალურობის დაცულობა მნიშვნელოვანია და მთელი ჩვენი საინფორმაციო და ფიზიკური ინფრასტრუქტურა სწორედ მსგავსი იმფორმაციის დაცულობის უმაღლესი დონის გათვალისწინებით არის მოწყობილი. ჩვენი აზრით, ზემოხსენებულ ბრძანებაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების საფუძველი შეიძლება ის ყოფილიყო, რომ იმ დროს საქართველოში არ არსებობდა კერძო, პროფესიონალური არქივის აუთსორსინგის კომპანია. გარდა ამისა, აღნიშნულ ბრძანებაში ბევრი სხვა დირექტივაც საკმაოდ მოძველებულია.

ჩვენ ვესაუბრეთ რიგ საავადმყოფოებსა და არქივის აუთსორსინგის კომპანიებს საზღვარგარეთ. გლობალურად ჯანდაცვის სექტორის მიერ არქივის აუთსორსინგი აბსოლუტურად მიღებული პრაქტიკაა. მაგალითისთვის, ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის სერვისი (NHS) სარგებლობს ამ სერვისით. გერმანიაში კანონმდებლობით დაშვებულია ჯანდაცვის სექტორის მიერ არქივის აუთსორსინგი და ბოლოს, ამერიკაში, სადაც სამედიცინო ჩანაწერების დაცულობის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი წესებია, არქივის აუთსორსიგნი საავადმყოფოების მიერ აბსოლუტურად მიღებული პრაქტიკაა.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოც უნდა გადავიდეს არქივის მართვის თანამედროვე პრაქტიკაზე და გაითვალისწინოს ზემოხსენებული მაგალითები.

ახლო მომავლისთვის მადლობლები ვიქნებოდით თუ ჯანდაცვის სამინისტრო დართავს ნებას საავადმყოფოებს, რომ შეძლონ არქივის აუთსორსინგი. გრძელვადიან პერსპექტივაში მიგვაჩნია, რომ ეს ბრძანება საჭიროებს განახლებას. ამ მიზნით, ჩვენი დიდი სურვილია თქვენთან ერთად შევიმუშაოთ განახლებული ტექსტი ახალი ბრანებისთვის.

მიმაგრებულ ფაილში იხილავთ სამედიცინო სექტორიდან ჩვენი პოტენციური კლიენტის თხოვნის წერილს, ჩვენს ზოგად პრეზენტაციას და სარეკომენდაციო წერილებს ჩვენი არსებული კლიენტებისგან. მოხარული ვიქნებით თქვენთვის მისაღებ დროს შევხვდეთ და განვიხილოთ აღნიშნული საკითხი.

საუკეთესო სურვილებით,

გიორგი ახალკაცი,
თავმჯდომარე